ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2209558

ნომერი: AR1344258

თარიღი : 24.09.2015

გაცემის თარიღი : 30.09.2015

გაცნობის თარიღი : 06.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გაბრიელ ისაკაძე , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე კვიკვინია პ/ნ 01508064210
- თბილისი ი.ჭავჭავაძის I ჩიხი N 35 ბ. 32

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1344258 (24/09/2015) განცხადების პასუხად რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო გეგმებით #01.10.12.020.001 მიწის ნაკვეთზე განაშენიანების კ–2 ინტენსივობის კოეფიციენტის მომატებას გაცნობებთ, შემდგეს:
რადგან აღნშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს 2 ფუნქციურ ზონაში საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)–ში და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)–ში (იხ. დანართი) განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მომატებისთვის დამატებით უნდა წარმოადგინოთ შესაბამისი სრულყოფილი დასაბუთება (განმარტებითი ბარათი, ესკიზური ვარიანტი და ფოტომონტაჟი არსებულ გარემოში და ა.შ) მხოლოდ საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)–ის არეალის გათვალისწინებით, რომელსაც განიხილავს "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისია" .

ასევე მოთხოვნილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების დახარვეზებული ველებში და დასაბუთებაში დასაფიქსირებელია დღევანდელი მდგომარეობით არსებული და მოთხოვნილი განაშენიანების კ–1 და განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტები.

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1=0,5;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=2.5;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ–3=0,1

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.